

ბილი (დოკუმენტი) ექსპერიმენტში მონაწილე სუბიექტების უფლებების შესახებ

ქვემოთ მოცემული უფლებები წარმოადგენს თითოეული პიროვნების უფლებებს, რომელსაც სთხოვენ სამეცნიერო კვლევაში მონაწილეობას. ექსპერიმენტში მონაწილე სუბიექტის რანგში, მე მაქვს შემდეგი უფლებები:

- 1) ვიცოდე, რის აღმოჩენას ცდილობენ კვლევაში,
- 2) ვიცოდე, რა დამემართება და განსხვავდება თუ არა ამ კვლევის რომელიმე პროცედურა, პრეპარატი ან აპარატურა სტანდარტულ პრაქტიკაში გამოყენებული მეთოდებისგან,
- 3) ვიცოდე ხშირი და/ან საყურადღებო რისკების, გვერდითი ეფექტების ან დისკომფორტის შესახებ, რაც შეიძლება შემემთხვევს კვლევის მიზნებით,
- 4) ვიცოდე, უნდა მქონდეს თუ არა რაიმე სარგებლის მოლოდინი კვლევაში მონაწილეობის წყალობით და თუ ეს მოხდება, რაში შეიძლება გამოიხატოს ეს სარგებელი,
- 5) ვიცოდე, სხვა რა არჩევანი მაქვს და რით შეიძლება ის უკეთესი ან უარესი იყოს ამ კვლევაში მონაწილეობასთან შედარებით,
- 6) მქონდეს კვლევასთან დაკავშირებული ნებისმიერი შეკითხვის დასმის უფლება კვლევაში ჩართვაზე თანხმობის მიცემამდე და კვლევის მიმდინარეობისას,
- 7) ვიცოდე, რა სახის მკურნალობა იქნება ჩემთვის ხელმისაწვდომი რაიმე გართულების განვითარების შემთხვევაში,
- 8) საერთოდ უარი ვთქვა კვლევაში მონაწილეობის მიღებაზე ან შევიცვალა აზრი მონაწილეობის შესახებ კვლევის დაწყების შემდეგ. ეს გადაწყვეტილება არ იქონიებს გავლენას ჩემს უფლებაზე ჩამიტარდეს მკურნალობა, რომელიც ჩამიტარდებოდა იმ შემთხვევაში, თუ კვლევაში მონაწილეობას არ მივიღებდი,
- 9) მივიღო ინფორმირებული თანხმობის ხელმოწერილი და დათარიღებული ასლი,
- 10) არ იყოს ჩემზე ზეწოლა, როდესაც განვიხილავ საკითხს იმის შესახებ, მსურს თუ არა კვლევაში მონაწილეობის მიღება.

სხვა შეკითხვების წამოჭრის შემთხვევაში უნდა მივმართო მკვლევარს ან მკვლევარის ასისტენტს. გარდა ამისა, მე შემიძლია დავუკავშირდე ადამიანებში სამეცნიერო კვლევის კომიტეტს, რომელიც ზრუნავს მოხალისეების დაცვაზე სამეცნიერო კვლევით პროექტებში. კომიტეტს შემიძლია დავუკავშირდე ტელეფონზე: (415) 476-1814 დილის 8:00 საათიდან საღამოს 5:00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევამდე, ან წერილი გავგზავნო მისამართზე: the Committee on Human Research, Box 0962, University of California, San Francisco, CA 94143.

ტრანსაქციებთან დაკავშირებით დარეკეთ ნიმერზე: 476-1814.

12\91

Researchers: If using the [“short form” method](#) of consent, affirm the following and obtain the signatures below:

The elements of consent were presented orally on _____(date).

Subject Signature

Witness Signature